პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის „ “ ნოემბერი, ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N139-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.26.01.002 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ.N149-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.26.01.002) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $к^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს განმცხადებელს, რომ იგი ვალდებულია დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 22 ნოემბრის N 01-01-10/6557 წერილით დადგენილი პირობები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5 . განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N139-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.01.002) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განმცხადებელი შპს ,,გთემ ბილდინგი'' - დაინტერესებული პირის მიზანია ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N139-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 05.26.01.002 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება. დაგეგმვის მიზნაია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა, რისთვისაც საჭირო გახდა დეტალური გეგმის დამუშავება.მოთხოვნილი კ2-ს ოდენობა შეადგენს 4,6-ს. კამომპენისრებელი ღონისძიების ოდენობა დაზუსტდება პროექტირების ეტაპზე, რომელიც შეადგენს 10 %-ს.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N139-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.26.01.002) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური;

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახური